ᲛᲨᲠᲝᲚᲔᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲙᲕᲘᲠᲐ
30 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ
1939 Წ.
№ 173 (5573)
ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

ᲓᲦᲔᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ-ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲖᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲓᲦᲔᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲬᲠᲗᲝᲒᲑᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ, ᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲡ, ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠ ᲡᲐᲮᲙᲝᲛᲡ ᲐᲛᲮ. Ლ. Მ. ᲙᲐᲒᲐᲜᲝᲕᲘᲩᲡ!

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ — ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ, ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲖᲔᲕᲘᲗ Პ. ᲙᲠᲘᲕᲝᲜᲝᲡᲘ, ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ Ი. ᲮᲐᲚᲘᲐᲞᲘᲜᲘ, Ა. ᲤᲘᲚᲐᲣᲠᲘ, ᲝᲒᲜᲔᲕᲘ ᲓᲐ Ა. ᲒᲔᲬᲐᲫᲔ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲙᲝᲛᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙ. Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ, ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲐᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲠᲛᲘᲓᲐᲛᲝ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

კოლმეურნეობათა მიწების ტერიტორიაზე მცხოვრებ კოლმეურნეობების არაწევრ მუშათა და მოსამსახურეთა, სოფლის მასწავლებელთა, აგრონომთა და სოფლის ინტელიგენციის სხვა კატეგორიათა საკარმიდამო ნაკვეთებით სარგებლობის მოწესრიგების მიზნით, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

1. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობათა არაწევრი მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო საწარმოებში, რკინიგზებზე და დაწესებულებებში და ცხოვრობენ სასოფლო ადგილას კოლმეურნეობათა ტერიტორიაზე, აგრეთვე სოფლის მასწავლებლები, აგრონომიული, ზოოვეტერინარული და სამედიცინო მუშაკები, რომლებიც მუშაობენ და ცხოვრობენ სასოფლო ადგილას,—სარგებლობენ საკარმიდამო ნაკვეთებით ერთ ოჯახზე ზომით არაუმეტეს 0,15 ჰექტარისა იმ ფართობის ჩათვლით, რომელიც შენობებს უკავია.

2. საკარმიდამო ნაკვეთები ინვალიდთა, პენსიონერთა, მოხუცთა, რომლებიც კოლმეურნეობის წევრებად არ ირიცხებიან, განისაზღვროს ნორმით 0,15 ჰექტარის რაოდენობით იმ ფართობის ჩათვლით, რომელიც შენობას უკავია.

3. სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში—საკარმიდამო მიწების ნორმები 1 და 2 მუხლებში ჩამოთვლილი კატეგორიებისათვის—ნახევრად მცირდება.

4. ნება დაერთოს კოლმეურნეობებს გადასცენ ახალ სარგებლობაში საკარმიდამო მიწები, ამ დადგენილების 1 და 2 მუხლების თანახმად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოლმეურნეობას მოეპოვება თავისუფალი მიწები საკარმიდამო ფონდში.

5. სარეწაო არტელების წევრებს, თუ ისინი კოლმეურნეობებში ირიცხებიან, და თევზჭერის კოლმეურნეობათა წევრებს—საკარმიდამო ნაკვეთები დაეტოვებათ იმ ნორმების რაოდენობით, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით დაწესებულია კოლმეურნეთა კომლებისათვის.

6. საკარმიდამო მიწების მთელი გარდამეტი, ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნორმებთან შედარებით, უნდა მიეზომოს შესაბამისად კოლმეურნეობათა მიწებს.

ამ გარდამეტის ჩამორთმევა მოხდეს საკარმიდამო ნაკვეთების აზომვის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 1939 წლის 15 ნოემბრისა.

7. რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს გამოისყიდონ კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა საჭიროებისათვის საცხოვრებელი და საეზოო შენობები იმ პირთაგან, რომლებმაც ფაქტიურად გასწყვიტეს კავშირი სოფლის მეურნეობასთან და უკვე მუდმივად აღარ ცხოვრობენ სასოფლო ადგილას, არამედ სარგებლობენ ამ შენობებით მხოლოდ ორი-სამი თვით წელიწადში ანდა აძლევენ მათ იჯარით გამოსარჩომის მიზნით.

8. ნება დაერთოს სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს დაუთმონ მუშათა და მოსამსახურეთა, სოფლის მასწავლებელთა, აგრონომთა და კოლმეურნეობის სხვა არაწევრთა პირად სარგებლობაში მყოფი პირუტყვისათვის საჭირო რაოდენობის საძოვრები თავისუფალ სახელმწიფო მიწაზე, როგორც ძაგალითად: სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში, რკინიგზებისა და გზატკეცილების განსხვისების ზოლში, სასოფლო საბჭოების მიწებზე და სხვ.

ამ შემთხვევაში, თუ ასეთი თავისუფალი სახელმწიფო მიწები არ მოიპოვება, შესაძლებლად ჩაითვალოს და რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს ნება დართონ სასოფლო ადგილას მცხოვრებ მუშებსა და მოსამსახურეებს, სოფლის მასწავლებლებს, აგრონომებსა და კოლმეურნეობათა სხვა არაწევრებს ისარგებლონ საკოლმეურნეო საძოვრებით თავიანთი პირუტყვისათვის კოლმეურნეობასთან შეთანხმებით სათანადო საზღაურით, რომელიც დაფარავს კოლმეურნეობის მიერ საბალახოებისა და წყალსალევების შესანახავად გაწეულ ხარჯებს.

ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲗᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲓᲦᲔ

ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲐ.

ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲝᲛᲚᲘᲐ, ᲘᲒᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ 30 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲤᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲮ. Ა. Ა. ᲟᲓᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲐᲛᲑᲐᲡᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲮ. Ა. ᲒᲝᲠᲙᲘᲜᲘᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲤᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲮ. Ე. ᲑᲐᲓᲐᲔᲕᲘᲡ, ᲐᲛᲮ. Ბ. ᲨᲐᲮᲣᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ, ᲐᲛᲮ. Გ. ᲒᲝᲠᲙᲘᲜᲘᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲤᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲮ. Ა. Ე. ᲑᲐᲓᲐᲔᲕᲘᲡ, ᲐᲛᲮ. Გ. ᲛᲐᲚᲔᲜᲪᲝᲕᲘᲡ, ᲐᲛᲮ. Ფ. ᲨᲘᲠᲘᲐᲢᲝᲕᲘᲡ, Ა. Ფ. ᲒᲝᲠᲙᲘᲜᲘᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲤᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲮ. Ა. Ე. ᲑᲐᲓᲐᲔᲕᲘᲡ, ᲐᲛᲮ. Ვ. Ვ. ᲕᲐᲮᲠᲣᲨᲔᲕᲘᲡ, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა და რუსეთის სფსრ სახალხო კომისრების გამოჩენას.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა რუსეთის რსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. Მ. ნ. ᲣᲛᲜᲝᲕᲘ.

შემდეგ საბოლოო სიტყვა ეძლევა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ ი. ა. ᲕᲚᲐᲡᲝᲕᲡ.

○

28 ივლისს საღამოს შესდგა რსფსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მე-6 სხდომა. დაიწყო განხილვა რსფსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. ტ. ᲒᲝᲚᲘᲐᲙᲝᲕᲘᲡ მოხსენების გარშემო. თავმჯდომარეობს რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამხ. Ა. Ა. ᲟᲓᲐᲜᲝᲕᲘ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა: Ზ. Ა. ᲓᲘᲜᲛᲣᲰᲐᲜᲛᲔᲢᲝᲕᲘᲡ, Ა. Ი. ᲨᲐᲮᲣᲠᲘᲜᲐᲡ, რ. კ. იბრაჰიმოვმა, ნ. მ. ვასლიევმა, კ. ა. ზიმინმა, ა. ი. გეკმანმა, პ. ი. კალინკინმა, შემდეგ სესიის საღამოს სხდომა დაიხურა.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲤᲡᲠ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ

28 ივლისს, დილით, კრემლში შესდგა რუსეთის სფსრ უმაღლესის საბჭოს მეორე სესიის მეხუთე სხდომა. დეპუტატები და სტუმრები მქუხარე ტაშით მიესალმნენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ამხ. Ა. Ა. ᲟᲓᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ და მისი მოადგილეების ამხ. Ა. Ხ. ᲢᲘᲜᲩᲘᲠᲝᲕᲘᲡ და �პ. Ს. ᲛᲐᲯᲐᲠᲝᲕᲘᲡ, ამხანაგების Მ. ი. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ, Გ. Მ. ᲛᲐᲚᲔᲜᲪᲝᲕᲘᲡ, Მ. Ფ. ᲨᲙᲘᲠᲘᲐᲢᲝᲕᲘᲡ, Ა. Ფ. ᲒᲝᲠᲙᲘᲜᲘᲡ, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. Ა. Ე. ᲑᲐᲓᲐᲔᲕᲘᲡ, ამხ. Ვ. Ვ. ᲕᲐᲮᲠᲣᲨᲔᲕᲘᲡ, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა და რუსეთის სფსრ სახალხო კომისრების გამოჩენას.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა რუსეთის რსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. Მ. ნ. ᲣᲛᲜᲝᲕᲘ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲕᲠᲘᲡ ᲐᲛᲮ. Ნ. Ა. ᲛᲝᲠᲝᲖᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲕᲠᲘ, ᲐᲛᲮ. ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ-ᲫᲔ ᲛᲝᲠᲝᲖᲝᲕᲘ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ.

(ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

ᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

სიღნაღის რაიონის ალაზნის საბჭოთა მეურნეობამ რამის პირველი მოსავლის აღების გეგმა 131 პროცენტით შეასრულა. მოსავალი აღებულია 80 ჰექტარზე. წარმატებით მიმდინარეობს მზადება რამის მეორე მოსავლის აღებისათვის. რამის მეორე მოსავალსაც კარგი პირი უჩანს.

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი Ბ. ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
რაიაღმასკომის თავმჯდომარე Ვ. ᲛᲐᲖᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

1939 ᲬᲚᲘᲡ 30 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ, ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ 6 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ, Ს. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲨᲘ ᲨᲔᲡᲓᲒᲔᲑᲐ

ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ, ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ-ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲓᲦᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ:

1. ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ - ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲓᲦᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ (ᲛᲝᲛᲮ. ᲐᲛᲘᲔᲠ - ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲐᲛᲮ. **ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ**).
2. ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ.
ᲨᲔᲡᲕᲚᲐ ᲛᲘᲡᲐᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ.

ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲩᲐᲛᲗᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ საქ. კ. პ. (ბ) ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲤᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ

28 ივლისს, დილით, კრემლში შესდგა რუსეთის სფსრ უმაღლესის საბჭოს მეორე სესიის მეხუთე სხდომა. დეპუტატები და სტუმრები მქუხარე ტაშით მიესალმნენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ამხ. Ა. Ა. ᲟᲓᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ და მისი მოადგილეების ამხ. Ა. Ხ. ᲢᲘᲜᲩᲘᲠᲝᲕᲘᲡ და �პ. Ს. ᲛᲐᲯᲐᲠᲝᲕᲘᲡ, ამხანაგების Მ. ი. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ, Გ. Მ. ᲛᲐᲚᲔᲜᲪᲝᲕᲘᲡ, Მ. Ფ. ᲨᲙᲘᲠᲘᲐᲢᲝᲕᲘᲡ, Ა. Ფ. ᲒᲝᲠᲙᲘᲜᲘᲡ, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. Ა. Ე. ᲑᲐᲓᲐᲔᲕᲘᲡ, ამხ. Ვ. Ვ. ᲕᲐᲮᲠᲣᲨᲔᲕᲘᲡ, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა და რუსეთის სფსრ სახალხო კომისრების გამოჩენას.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა რუსეთის რსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. Მ. ნ. ᲣᲛᲜᲝᲕᲘ.

ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ

ᲛᲘᲜᲡᲙᲘ, 28 ივლისი (საკდესი). დღეს საღამოს სხდომაზე ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ განიხილა ბელორუსიის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ი. ა. ᲖᲐᲮᲐᲠᲝᲕᲘᲡ მოხსენება საავტომობილო ტრანსპორტის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის დაარსების შესახებ.

დეპუტატ ი. ი. ᲙᲣᲠᲒᲐᲜᲘᲡ წინადადებით, სესიამ ერთხმად მიიღო კანონი ბელორუსიის სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

ამის შემდეგ სესიის საღამოს სხდომა დაიხურა.

ᲠᲘᲝᲜᲯᲔᲡᲘᲡ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲯᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 29 ივლისი (საქდესი). 5 წლის წინათ, 1934 წლის 30 ივლისს, საბჭოთა კავშირის მოქმედ ელექტროსადგურთა მწყობრში ჩადგა საქართველოს უმძლავრესი ჰიდროელექტროსადგური — რიონის სტალინის სახელობის ჰიდროელექტროსადგური.

სადგურის არსებობის ხუთი წლისთავი მისმა კოლექტივმა აღნიშნა შვიდი თვის გეგმის ვადამდე შესრულებით: 29 ივლისისათვის გამომუშავებულია 144 მილიონი კილოვატსაათი ენერგია.

სადგურის დირექტორი, ლენინურ-სტალინური კომკავშირის მიერ აღზრდილი ამხ. ბ. ლომიძე ჰიდროსადგურის მუშაობის ჩინებული ხელმძღვანელობისათვის დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ, ᲛᲐᲘᲝᲠᲘ Პ. Მ. ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝᲕᲘᲡᲙᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საცდელი ნიმუშების თვითმფრინავების გამოცდის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის მფრინავი, მაიორი პეტრე მიხეილის-ძე **ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘ** დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ
Მ. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘ
ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
Ა. ᲒᲝᲠᲙᲘᲜᲘ

მოსკოვი, კრემლი.
1939 წ. 28 ივლისი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲤᲡᲠ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡ ᲐᲛᲮ. Ი. Ს. ᲙᲝᲖᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საბჭოთა საოპერო ხელოვნების დარგში დიდი დამსახურებისათვის რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ამხ. ივანე სიმონის-ძე **ᲙᲝᲖᲚᲝᲕᲡᲙᲘ** დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ
Მ. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘ
ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
Ა. ᲒᲝᲠᲙᲘᲜᲘ

მოსკოვი, კრემლი
1939 წ. 28 ივლისი.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲚᲔᲑᲘ, 29 ივლისი (**ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტებისაგან**) გზაში საოფლო-სამეურნეო გამოფენის ქართველ და სომეხ მონაწილეებსა და სტუმრებს შემოუერთდნენ: აზერბაიჯანიდან 111 კაცი, სარჩინო-ინგუშეთიდან—25, დაღესტნის ასსრ-დან 50 კაცი. ამრიგად სპეციალური მატარებელი აივსო ამ მომმე რესპუბლიკებიდან გამოფენაზე გაგზავნილთა პირველი პარტიით. ბაქოში ამიერ-კავკასიის სამი მომმე რესპუბლიკის საკოლმეურნეო შრომის გმირებს მოუწყვეს საზეიმო გაცილება, რომელიც წარმოადგენდა ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობის დემონსტრაციას. ტაშის გრიალში აღფრთოვანებულ შეძახილებში **და** სასულე ორკესტრის გუგუნში დაიძრა მატარებელი და მოსკოვში წაიყვანა სტალინური ეპოქის საუკეთესო შვილები. საზეიმო შეხვედრა **და** გაცილება მოგვიწყვეს დერბენტში და სხვა სადგურებზე. ვაგონებში გაცხოველებული საუბრებია მომმე რესპუბლიკების სტახანოველებს შორის. გამოფენის მრავალი მონაწილის მკერდს ამშვენებს საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები, ბევრნი არიან სსრ კავშირისა **და** მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები.

Პ. ᲠᲐᲢᲘᲜᲘ
Ბ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲜᲔᲜ

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ, 29 ივლისი (**ტელეფონით საკ. კორ.**). დღეს, საღამოს 11 საათზე სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად ლაგოდეხიდან მოსკოვს გაემგზავრა გამოფენის 133 მონაწილე და ექსკურსანტი. მათ შორის არიან მოწინავე მეთამბაქოეები შ. ბატიაშვილი, ვ. კაპანაძე, მ. ომიაძე, კ. ბოჭორიშვილი, ზოოტექნიკოსი გ. გვარამაძე, რაიმიწგანის უფროსი აგრონომი ი. ბატიაშვილი, ს. ღვალაძე, სტახანოველი ტრაქტორისტები ლ. ნადირაძე და ნ. ბერეკაშვილი.

სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ბუდიონოვკისა და ვარდისუბ

ბოლშევიკური საღამი საბჭოთა სახელოვან რკინიგზელებს!

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კრივონოსელი მემანქანე ლევან ობოლაშვილი

ა.-კ. რკინიგზის ტრანსპორტის მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან მარჯვნივ): ბათუმის სამგზავრო სადგურის პირველი უფროსი ქალი ამხ. ლ. ჭინტურია, თბილისის საექსპლოატაციო განყოფილების დისპეტჩერთა ცვლის უფროსი ამხ. ალ. ტერტერაშვილი ნავთლუღის სალიანდაგო სახელოსნოს უფროსი ამხ. დ. ი. ირემაშვილი, თბილისის სატვირთო სადგურის დისპეტჩერი ამხ. ს. უნგიაძე, გზის ოსტატი ამხ. ნ. მაღრაძე, სადგ. თბილისის მეისრე ამხ. ი. ბარნოვი, პირველი მემანქანე ქალი ა.-კ. რკინიგზაზე ამხ. თ. ქათამაძე, თბილისის დეპოს კომკავშირულ-კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. შ. ხიზანაშვილი.

ფოტო რ. აკოფოვისა

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კრივონოსელი მემანქანე ალექსანდრე გალდავა

> გასაგებია, რომ საქართველოსა ჩვენს ქვეყანაში ასე ვერ გაიშლებოდა სატრანსპორტო ტვირთზიდვის ერთგვარი ზრდის გარეშე. და მართლაც, ტვირთზიდვა საანგარიშო პერიოდში გაიზარდა ყველა სახის ტრანსპორტის, განსაკუთრებით რკინიგზისა და საჰაერო ტრანსპორტის დარგში.
>
> **ი. სტალინი**

> რკინიგზელების წინაშე უეჭველად დიდი ამოცანები დგას იმ მხრივ, რომ განამტკიცონ მიღწეული გამარჯვებანი და დანერგონ ტრანსპორტზე ახალი სოციალისტური კულტურა, შეწყობილი მუშაობა, რათა წარმატებით გაუწიონ მოსახურება მზარდ სახალხო მეურნეობას.
>
> **ლ. კაგანოვიჩი**

სოციალისტური ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე

მას თბილისის საორთქლმავლო დეპოს ყველა მუშა იცნობს, ყველა გეტყვით მის სიმამაცეს, თავდადებასა და შრომისმოყვარეობას. ჩვენ № 5360 ლოკომოტივის სახელმოსვეჭილი მემანქანის ამხ. ვლადიმერ გნოლიძის შესახებ ვლაპარაკობთ.

იგი შეეზარდა თავის ლოკომოტივს, ყოველი მისი დეტალი იცის, ყოველ ქშენაში, მქნევარას ყოველ მოძრაობაში, ცილინდრების უბრალო ხმაურშიც კი ლოკომოტივის „ტკივილს“ გამოიცნობს.

ამხ. გნოლიძე თვალისჩინივით უვლის თავის ლოკომოტივს. ყოველთვის თავს დასტრიალებს მას— ზეთავს, სწმენდს, სინჯავს ნაწილებს. ამიტომაა, რომ მისი ლოკომოტივი ექვს თვეზე მეტია რემონტში არ ყოფილა. ამიტომაა, რომ მის ლოკომოტივს გაურეცხავად დაწესებულ გეგმაზე 700-1000 კილომეტრით მეტი არაერთჯერ გაუვლია. ამიტომაა, რომ მისი ლოკომოტივი, რომელსაც გამოცდილი მემანქანის ხელი მართავს, მძიმე წონის ტვირთების გადატანის სასწაულებს ახდენს.

ათასტონიანი ტვირთით მატარებლის წაყვანა თბილისის საორთქლმავლო დეპოს ზოგ მემანქანეს რეკორდად გაუხდია. 25 ივლისს მემანქანეებმა ასიტოვმა და გოგებაშვილმა სცადეს თბილისიდან სანაინამდე წაეღოთ 1.200 ტონა ტვირთი, მაგრამ მხოლოდ სოღანლუღუმისის გადასარბენს მიაღწიეს. მეორე დღესვე ამხ. გნოლიძისა და მემანქანე არ. მამაჯანოვის ლოკომოტივები სანაინის მიმართულებით დაიძრნენ. წაიღეს 1.200 ტონა ტვირთი და სანაინში დანიშნულ დროზე 19 წუთით ადრე მივიდნენ. ამით როდი დაკმაყოფილდნენ. 29 ივლისს 1.400 ტონა ტვირთი წაიღეს, რითაც სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწიეს. ეს რეკორდი მათ ჩვენი მძლავრი სარკინიგზო სახელმწიფოს ტრანსპორტელთა დღეს — 30 ივლისს მიუძღვნეს საჩუქრად. ამ წარმატებაში მცირე წილი არ უდევს მემანქანე გნოლიძისა და მამაჯანოვის თანაშემწეებს ამხ. ს. გაგანიძეს და ზ. კარტაშოვს.

ბეჯითი, მუყაითი და თავდადებული მუშაობის შედეგად იზრდება მათი ხელფასიც. ამხ. გნოლიძემ და მამაჯანოვმა ივნისში 1.300 მანეთზე მეტი გამოიმუშავეს.

ბევრი საქვეყნოდ სახელგანთქმული და საპატიოსანი მემანქანე ალაზარდა და გამოიწრთო თბილისის საორთქლმავლო დეპოში. ლოკომოტივის ბერკეტს მართავდნენ ახლა სახალხოდ ცნობილი ორდენოსანი მემანქანეები, სოციალიზმის ქვეყნის პარლამენტის დეპუტატები ან. წიკლაური და ნ. გელაძე.

ბევრი ცნობილი მემანქანე ჰყავს ახლა თბილისის საორთქლმავლო დეპოს, ისინი ელვის სისწრაფით დაადგებიან ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე ჩვენ მშობლიურ ქარხნებში დამზადებულ ლოკომოტივებს.

როდესაც მემანქანეებზე ვლაპარაკობთ, გვაგონდება რკინიგზის ტრანსპორტის სტალინური სახკომის ამხ. **ლ. მ. კაგანოვიჩის** შემდეგი შესანიშნავი სიტყვები: „ჩვენი მემანქანეები ამაყობენ უწინარეს ყოვლისა იმით, და ამას ისინი სულ მუდამ აცხადებენ, რომ ისინი და ამხანაგი სტალინი ერთი პროფესიისანი არიან. ისინი რკინიგზის ლოკომოტივის მემანქანეები არიან, პოლო ამხანაგი სტალინი რევოლუციის ლოკომოტივის მემანქანეა“.

მართლაც რა საამაყო და სასახელოა იყო სოციალისტური ტრანსპორტის ლოკომოტივის სახელგანთქმული მემანქანე!

პ. ჭიოკაძე

მოწინავე განყოფილება

ა.-კ. რკინიგზის თბილისის საექსპლოატაციო განყოფილება (განყოფილების უფროსი — ამხ. ვ. კვინიკაძე) სერიოზული მიღწევებით ხვდება რკინიგზის ტრანსპორტის დღეს — 30 ივლისს. ამას მჭერმეტყველურად მოწმობენ განყოფილების მუშაობის მაჩვენებლები. ივნისში ვაგონების ყოველდღიური დატვირთვის გეგმა 116%-ით სრულდებოდა. (175 ვაგონის ნაცვლად ყოველდღიურად იტვირთებოდა 204). განყოფილებას კარგი მაჩვენებლები აქვს დატვირთვის გეგმის შესრულების მხრივ ივლისშიც. შემცირდა სატვირთო მატარებლების გაცდენის შემთხვევები. იმატა მატარებელთა საუბნო სისწრაფემ და სხვ.

მაგრამ თბილისის განყოფილება ყოველთვის როდი იყო მოწინავეთა შორის. გასული წლის მეორე ნახევრამდე განყოფილების გადამწყვეტი სადგურები თბილისი და ნავთლული ჩამორჩებოდნენ ძირითადი მაჩვენებლების შესრულებაში. ავარიების და წუნის წინააღმდეგ ბრძოლა პრინციპულ სიმაღლემდე არ იყო აყვანილი. მოძრაობის გრაფიკი 50 პროცენტითაც ძლივს სრულდებოდა.

გარდატეხა დაიწყო გასული წლის მეორე ნახევრიდან. განყოფილებაში მოვიდნენ ახალი მუშაკები, დაწინაურდნენ ახალი კადრები. განყოფილების კოლექტივმა ერთსულოვნად გადასწყვიტა განყოფილება გარღვევებიდან გამოეყვანა. განყოფილების მუშაკებმა აიღეს ვალდებულებები და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ბაქოს განყოფილება. შეჯიბრება მომმე რესპუბლიკის რკინიგზელებს შორის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის ძლიერი აღმავლობის წყარო გახდა.

გასული წლის სექტემბერში, როდესაც შემოწმებულ იქნა თბილისისა და ბაქოს განყოფილებების მუშაობის მაჩვენებლები, გამარჯვებული გამოვიდა თბილისის განყოფილება. მან საგზაო გარდამავალი დროშა მოიპოვა. მეორე შემოწმების დროსაც მიმდინარე წლის აპრილში, გარდამავალი დროშა თბილისელებმა შეინარჩუნეს და მომავალშიც არ ფიქრობენ იგი სხვებს დაუთმონ.

შესამჩნევ წარმატებებს მიაღწიეს მატარებლების მოძრაობის გრაფიკის დაცვისათვის ბრძოლაში. ცალკეული სადისპეტჩერო ცვლები თავიანთ მუშაობაში სისტემატურად აღწევენ მოძრაობის გრაფიკის 100 პროცენტით დაცვას. ამ მხრივ მაგალითის მიმცემნი არიან დისპეტჩერები: ს. ივანოვი, ალ. ტერტერაშვილი, ვ. მიქაძე, გ. ბუდაგაშვილი, დისპეტჩერ - სელექტორისტები: ნ. რუსო, სპ. კვირიკაშვილი, კ. შევჩენკო, ი. სამედბეკოვი, გოგიჩაიშვილი და სხვ.

განყოფილების მთელი კოლექტივი ჩაბმულია მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში. საკვანძო და საველე სადგურები იბრძვიან გარდამავალი დროშის დასაუფლებლად. მომდინარე წლის მაისში, როდესაც შეჯიბრების მაჩვენებლები შეამოწმეს, გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდნენ თბილისის და ფოილოს სადგურები.

განყოფილების კოლექტივის წარმატებათა „საიდუმლოება“ იმაში მდგომარეობს, რომ მას მჭიდრო კავშირი აქვს მასებთან, მოძრაობის დარგის მოწინავე ადამიანებთან. კრივონოსელთა ხშირი შეკრების შედეგად კარგადაა მოწყობილი მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა. დიდი ყურადღება ექცევა შესრულების შემოწმებას.

მოძრაობის დარგს კონტროლთან ერთად ნამდვილ დახმარებას უწევს რკინიგზის პარტიული ორგანიზაცია (პოლიტგანყოფილების უფროსი — ამხ. კ. ჩაგუნავა).

ა. ჯუმბურიძე



სამგრედიელ რკინიგზელთა საჩუქრები

(სამტრედია, საკ. კორესპონდენტისაგან)

რკინიგზის სამტრედიის კვანძის მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები უდიდესი აღფრთოვანებით შეუდგნენ რკინიგზელთა დღისათვის — 30 ივლისისათვის ძვირფასი საჩუქრების მომზადებას.

მთელ კვანძზე თავი ისახელეს სავაგონო დეპოს მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა, რომლებმაც აიღეს ვალდებულება — 9 თვის გეგმა 7 თვეში — 30 ივლისისათვის შეესრულებინათ. ეს ვალდებულება დეპოელებმა წარმატებით გაანაღდეს. 28 ივლისს მათ საშუალო შეკეთებიდან გამოუშვეს 270 ვაგონი. ივლისში 30 ვაგონის ნაცვლად საშუალო შეკეთებიდან გამოუშვეს 57 ვაგონი.

დეპოში საგრძნობლად გაიზარდა სტახანოველთა რიცხვი — 314 კაცდან სტახანოველია 235, ხოლო დამკვრელი 50. ამ მხრივ აღსანიშნავია კომუნისტების ავანგარდული როლი, რომელთა მუშაობის მაგალითებზე იზრდებიან ახალი ადამიანები. კომუნისტმა ე. ახობაძემ ივლისის გეგმა 771 პროცენტით შეასრულა. კომკავშირელ ჯანაშიას ცვლა ახლა ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე მოწინავედ ითვლება.

რკინიგზელთა დღესთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულება კომუნისტმა ბ. ნანაძემ (შემდუღებელი) 502 პროცენტით შეასრულა.

მთელი კოლექტივის გმირული ბრძოლის შედეგად სამტრედიის სავაგონო დეპოს ა.-კ. რკინიგზაზე პირველი ადგილი უჭირავს და ბოლომდე ინარჩუნებს სსრკ გზათა საბალხო კომისარიატის გარდამავალ დროშას, რომელიც მან მაისში მიიღო წარმატებითი მუშაობისათვის.

სავაგონო დეპოს არ ჩამორჩება საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი, რომელმაც რკინიგზელთა დღის აღსანიშნავად ივლისში საშუალო შეკეთებიდან 4 ორთქლმავლის ნაცვლად 5 ორთქლმავალი გამოუშვა, ხოლო ავადმყოფი ორთქლმავლების პროცენტი 12,2-დან 9-1-მდე დაიყვანა.

რკინიგზელთა დღესთან დაკავშირებით სტახანოველმა მემანქანეებმა პ. ადამიამ, რუსიამ, პ. ნანეიშვილმა, ნ. დუნდუამ და ლ. შენგელიამ ნაკისრი ვალდებულებანი 150-160 პროცენტით გაანაღდეს, ტექნიკური სისწრაფე ნაცვლად 30 კილომეტრისა საათში 32-33-მდე გაზარდეს და ამასთან 100 კილოგრამზე მეტი საწვავი მასალა დაზოგეს (თვითეულმა).

სამტრედიელი რკინიგზელები ამ წარმატებებით არ დაკმაყოფილდებიან და უფრო მეტად იბრძოლებენ ახალ-ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

გ. სიხარულიძე

საამაყო მაჩვენებლები

რკინიგზის ბათუმის კვანძი სასახელო მაჩვენებლებით ხვდება რკინიგზის ტრანსპორტის საკავშირო დღეს. სავაგონო დეპოს კოლექტივმა 28 ივლისისათვის შეასრულა სახალხო ვაგონების საშუალო შეკეთების მიმდინარე წლის გეგმა. ამ რიცხვისათვის დეპომ 105 პროცენტით შეასრულა ქვაბების, ხოლო 125 პროცენტით სახალხო ვაგონების შეკეთების წლიური დავალება.

ტექნიკური სიჩქარის, გარბენის ნორმების შესრულებისა და საწვავი მასალის დაზოგვის საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან საორთქლმავლო დეპოს სახელოვანი მემანქანეები ნ. დარჩია, ბ. ქოიძე, ვლ. სუქიასოვი, ივ. ოდიკაძე, გ. ხტილაძე და სხვები.

დეპოს ცალკე ბრიგადები დიდი გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო გეგმებს. არმატურის შემკეთებელმა ბრიგადამ ალექსანდრე ფედიდკინის ხელმძღვანელობით 25 ივნისისათვის 280 პროცენტით შეასრულა ორთქლმავლის არმატურის შეკეთების მიმდინარე წლის გეგმა. ზეინკალ ს. მამფორიას ბრიგადამ ორთქლმავლების მოხარატების თვიური გეგმა 23 ივლისისათვის 271,5 პროცენტით შეასრულა.

კ. დოგორჯგინიძე

ისტორიული თარიღი

30 ივლისი ღირსშესანიშნავი თარიღია სოციალისტური რკინიგზის ტრანსპორტისათვის, მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. ამ დღეს, ოთხი წლის წინათ, რკინიგზელები კრემლში მიიღეს პროგრესიული კაცობრიობის საყვარელმა ბელადმა დიდმა **სტალინმა,** პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა.

კრემლში რკინიგზელების მიღების დღე — 30 ივლისი ყოველწლიურად აღინიშნება, როგორც რკინიგზის ტრანსპორტის საკავშირო დღე. ამ დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები რკინიგზელებთან ერთად აჯამებენ რკინიგზის ტრანსპორტის ახალ წარმატებებს, მის ახალ გამარჯვებებს.

30 ივლისი ამ ხუთი წლის წინათ შეიქმნა მკვეთრი გარდატეხის თარიღად ჩვენი სარკინიგზო მეურნეობისათვის. აქედან დაიწყო მისი თვალსაჩინო აღმავლობა.

რკინიგზის ტრანსპორტის წარმატებათა ნათელ მაჩვენებელს წარმოადგენენ ციფრები განუხრელად მზარდი საშუალო სადღეღამისო დატვირთვისა. 1935 წელს იგი შეადგენდა 68.098 ვაგონს, 1936 წელს— 86.160 ვაგონს, 1937 წ. — 89.833-ს, 1938 წ. 96-98 ათასს, ხოლო 1939 წელს 100 ათასს გადააჭარბა.

1913 წელს რუსეთის რკინიგზები საშუალოდ დღე-ღამეში ტვირთავდნენ მხოლოდ 27 ათას ვაგონს.

ტრანსპორტზე ლ. მ. კაგანოვიჩის ხელმძღვანელობით გაუმჯობესდა რკინიგზების ტექნიკურ საშუალებათა — ლოკომოტივების, ვაგონების, ლიანდაგის, სიგნალიზაციისა და სხვ. გამოყენება. პირველ და მეორე სტალინურ ხუთწლედებში ჩვენმა რკინიგზელებმა მძლავრი ტექნიკური შეიარაღება მიიღეს.

ომამდელ დროსთან შედარებით 6-ჯერ გაიზარდა მგზავრთა გადაყვან-გადმოყვანა.

იოლი არ ყოფილა რკინიგზელების ბრძოლა ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მისი აყვანისათვის სოციალისტური სახალხო მეურნეობის მოწინავე დარგების დონემდე. პირსისსლიანი ფაშიზმის დაქირავებული აგენტები ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები ცდილობდნენ ჩაეშალათ ტრანსპორტის მუშაობა. სამეთაურო პოსტებზე გამძვრალმა ხალხის საზიზღარმა მტრებმა —ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელმა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა აგენტებმა ცოტა ზიანი როდი მიაყენეს ტრანსპორტს, მაგრამ ხალხის მტერთა ვერავითარმა ცდებმა ვერ შეაჩერეს ტრანსპორტის მძლავრი გაფურჩქვნის პროცესი. სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებმა — საბჭოთა რკინიგზელებმა, მჭიდროდ დარაზმულებმა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** გარშემო, მთელ ქვეყანას უჩვენეს სიძნელეებთან, დაბრკოლებებთან ბრძოლის სამაგალითო ნიმუშები.

რკინიგზელთა მრავალმილიონიან ოჯახში აღიზარდნენ ათეულ ათასობით სახელოვანი ადამიანები — სტახანოველ-კრივონოსელები, რომლებმაც გადააყირავეს რა ცრუმეცნიერთა მავნე თეორიები, გვიჩვენეს ბოლშევიკური შრომის ნიმუშები. მემანქანეების კრივონოსის, ოგნევის, ბოგდანოვის, წიკლაურის, გელაძის სახელები საქვეყნოდ ცნობილი გახდა. გაიარეს რა მდიდარი პრაქტიკული სკოლა, ისინი დღეს ტრანსპორტის სახელმძღვანელო პოსტებზე მუშაობენ და აქაც მთთვის ჩვეული ენერგიით იბრძვიან ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობისათვის, საკუთარ მაგალითზე ზრდიან რკინიგზელი პატრიოტების ახალ კადრებს.

სოციალისტური რკინიგზების საერთო ქსელში არც ამიერ-კავკასიის რკინიგზა ჩამორჩება იმ წარმატებებს, რომელსაც ჩვენმა მძლავრმა სარკინიგზო სახელმწიფომ მიაღწია

გ. ს. კიკნაძე

ა.-კ. რკინიგზის უფროსი

ამ ოთხი წლის განმავლობაში სახელოვანი და ყველა რკინიგზელისათვის უსაზღვროდ საყვარელი სახკომის **ლ. მ. კაგანოვიჩის** სტალინური ხელმძღვანელობით. ჩვენი გზის წლიზვედრიც არ არის უმნიშვნელო სოციალისტური ტრანსპორტის საერთო ზრდა-განვითარებაში. გაანადგურეს და აღმოფხვრეს რა მავნებელთა ძირითადი ბუდეები, ა.-კ. სახელოვანმა რკინიგზელებმა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაციკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების ყოველდღიური დახმარებით, დიდი სტალინის ერთგული მოწაფის ამხ. **ლ. პ. ბერიას** დახმარებით შესძლეს უკანასკნელი წლების განმავლობაში ტვირთზიდვის სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულება, მიმდინარე წლის პირველ ნახევრის გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულება და რკინიგზების ქსელში ერთერთ პირველ ადგილზე გამოსვლა.

თუ 1935 წელს სადღეღამისო დატვირთვა საშუალოდ 2042 ვაგონს უდრიდა, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში იგი უდრის 2.933 ვაგონს, ვაგონების მიმოქცევა ამავე პერიოდში 4,75 დღე-ღამიდან შემცირდა 3,70-მდე, მატარებლების ტექნიკური სისწრაფე 26,48 კილომეტრ — საათიდან 33,56 კილომეტრ-საათამდე გაიზარდა, ვაგონების გაჩერება დატვირთვის ქვეშ 18 საათიდან 14,67 საათამდე შემცირდა, გაძლიერდა ბრძოლა გრაფიკისათვის. თუ 1935 წელს გრაფიკის მიხედვით საშუალოდ მატარებლების 44 პროც. მოძრაობდა, ახლა ეს პროცენტი 63,3-ს აღწევს, ხოლო ხშირია შემთხვევები, როდესაც გარკვეულ დღეებში, გარკვეულ უბნებზე მატარებლების გრაფიკის მიხედვით გატარება 100 პროცენტს აღწევს.

ამ ოთხი წლის განმავლობაში გამოვლინებულ იქნენ ბოლშევიკური სტილით მომუშავე ადამიანები, რომლებიც სოციალისტური შრომის სასწაულებს გვიჩვენებენ. თბილისის საორთქლმავლო დეპოს ათასიანმა კოლექტივმა, რომელსაც ა.-კ. რკინიგზის წარჩინებული ადამიანები ა. წიკლაური და ნ. გელაძე მეთაურობენ, მცირე წარმატებებს როდი მიაღწიეს. დეპოს ახალგაზრდა კრივონოსელებმა, აითვისეს რა წიკლაურისა და გელაძის გამოცდილება, მათი პრაქტიკული დახმარებით ფართოდ გაშალეს მძიმეწონიანი მატარებლების ტარებისათვის ბრძოლა და იმ პერიოდში, რაც ისინი სტალინის სახელობის გზის ნიჟნედნეპროვსკის კვანძის დეპოს ეჯიბრებიან, ნორმის გადამეტებით 251 ათასი ტონა ტვირთი გადაზიდეს. დეპოს კომკავშირულ - კომპლექსურმა ბრიგადამ ამხ. შ. ხიზანაშვილის ხელმძღვანელობით შრომის კულტურულად მოწყობით შესძლო ერთ ცვლაში გარიცხვითი რემონტიდან 2 ორთქლმავლის გამოშვება. ლენინაკანის დეპოს მემანქანემ ამხ. აბაჯიანმა, რომელიც ეჯიბრება სტალინის სახ. გზის ცნობილ მემანქანეს ცარკოვს, იკისრა მთელი მესამე სტალინური ხუთწლედის განმავლობაში იმუშაოს ურემონტოდ. ხაშურის ელექტროდეპოში ამხ. ლაბაძემ, მიქატაძემ და კაჭურაშვილმა მიაღწიეს 267 ათასი კილომეტრის ურემონტოდ გარბენას. თბილისის საექსპლოატაციო განყოფილების ერთიანი ცვლის ხელმძღვანელი ამხ. ალ. ტერტერაშვილი ითვლება 100 პროც. გრაფიკისათვის მებრძოლ დისპეტჩერთა მოძრაობის ინიციატორად. ცვლა ხშირად ასრულებს ამ ნაკისრ ვალდებულებას. მას არ ჩამორჩება სამტრედიის განყოფილების კომკავშირულ-ახალგაზრდული ცვლაც, რომელსაც ძველი გამოცდილი რკინიგზელი ამხ. დუნდუა ხელმძღვანელობს.

მთელი რიგი სატრანსპორტო მეურნეობანი (თბილისის საექსპლოატაციო განყოფილება, სამტრედიის სავაგონო უბანი, სადგურები თბილისი—სატვირთო, ნავთლული, ქუთაისის საორთქლმავლო დეპო, ხაშურის ელდეპო და სხვა მრავალი) მოწინავეთა რიგებში დგანან და დავალებათა სანიმუშოდ შესრულების საუკეთესო მაგალითებს იძლევიან.

დიდად უწყობს ხელს ჩვენი გზის წარმატებებს სოციალისტური შეჯიბრება მომმე უკრაინის სტალინის სახელობის რკინიგზასთან, რაც რაზმავს რკინიგზელთა მასებს და აღვივებს მათში საწარმოო ენტუზიაზმის ალალ ცეცხლს. ამით და უმთავრესად ამით არის, რომ ნახევარი წლის გეგმა წელს გზამ 21 დღით ადრე შეასრულა, ხოლო თავის სახელოვან დღეს 7 თვის გეგმის ვადამდე შესრულება უძღვნა საჩუქრად.

ამგვარად, ამიერ-კავკასიის რკინიგზელთა სახელოვანი არმია, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური ვალიც აკისრია — საუკეთესოდ მოემსახუროს და ერთმანეთთან დაკავშიროს ამიერ-კავკასიის მრავალეროვანი ხალხები, სასახელოდ ხვდება რკინიგზელთა საკავშირო სტალინურ დღეს.

ამ სახელოვანი თარიღის ოთხი წლის თავზე იგი ერთხელ კიდევ ამოწმებს თავის რიგებს და დარაზმული იმისათვის, რომ გადამწყვეტი შეტევა მიიტანოს ჯერ კიდევ არსებულ ნაკლთა გამოსწორებისათვის, უფრო უკეთესი მაჩვენებლებით შეხვდება თავისი დღესასწაულის 5 წლისთავს.

მემანქანეების რეკორდები

მძიმეწონიან მატარებლების კრივონოსელმა მემანქანეებმა მთელი რიგი შესანიშნავი რეკორდები დამყარეს რკინიგზელის სრულიად-საკავშირო დღის აღსანიშნავად. 27 ივლისს მემანქანეებმა მამაჯანოვმა და გნოლიძემ თბილისიდან სანაინში ჩაიყვანეს მძიმეწონიანი ტვირთით მატარებელი, რომლის წონაც ნორმას 200 ტონით აღემატებოდა. 28 ივლისს მემანქანეებმა გვენეტაძემ და ობოლაშვილმა სანაინში ჩაიყვანეს მატარებელი, რომელიც თავისი წონით ნორმას 326 ტონით აღემატებოდა. მათ შემდეგ 29 ივლისს მემანქანეებმა კასრაძემ და ტორონჯაძემ თბილისიდან სანაინში ჩაიყვანეს მატარებელი, რომლის წონაც ნორმას 375 ტონით აღემატებოდა.

მემანქანეებმა გვენეტაძემ და ობოლაშვილმა იკისრეს რკინიგზელის დღეს სანაინში ჩაიყვანონ მატარებელი, რომლის წონაც ნორმაზე 400 ტონით მეტი იქნება.

თბილისის სადგურის უფროსის მოადგილე ვლადიმერ რჩეულიშვილი

მუშაობა გაუმჯობესდა

ქუთაისის კვანძი მნიშვნელოვანი წარმატებებით ხვდება რკინიგზელთა საკავშირო დღეს. ერთი-ორად გაიზარდა ტვირთზიდვა, უწუნოდ და უავარიოდ მუშაობენ კრივონოსელი მემანქანეები — ლ. ობოლაძე, ლ. კეთილაძე, ა. ჯიბლაძე და სხვები. თუ 1935 წელს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ კრემლში რკინიგზელთა მიღების დღეს, ქუთაისიდან ტყიბულის მიმართულებით ერთ რეისზე 80 ტონა ტვირთი მიჰქონდათ, ხოლო უკან 160 ტონა მოჰქონდათ, ახლა მიაქვთ 150 ტონა და მოაქვთ 300 ტონა. მატარებელთა სისწრაფეც ტყიბულის გზაზე ერთი-ორად გაიზარდა, თუ 1935 წელს ორთქლმავლის საშუალო სიჩქარე საათში 15 კილომეტრს უდრიდა, ამჟამად კრივონოსელი მემანქანეები 25-27 კილომეტრ სიჩქარეს ანვითარებენ, ნაცვლად 15 ვაგონისა, სადგური ამჟამად დღეღამეში 25-30 ვაგონს ტვირთავს.

ეგ. გვასალია

თბ. საექსპლ. განყოფილების დისპეტჩერი გერმან გოგიჩაშვილი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ

თ ა ვ ი I

საარჩევნო სისტემა

მუხლი 1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 147 მუხლის საფუძველზე მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატებს ამომრჩეველები ირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

მუხლი 2. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 148 მუხლის საფუძველზე დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: საქართველოს სსრ ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დეპუტატთა არჩევნებში და არჩეულ იქნას მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში, გარდა შშმლილებისა და იმ პირებისა, რომელნიც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულნი არიან საარჩევნო უფლების ჩამორთმევით.

მუხლი 3. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 149 მუხლის საფუძველზე დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: თვითეულ მოქალაქეს ერთი ხმა აქვს; ყველა მოქალაქე მონაწილეობს არჩევნებში თანასწორ საფუძვლებზე.

მუხლი 4. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 150 მუხლის საფუძველზე ქალები სარგებლობენ უფლებით აირჩიონ და არჩეულ იქნან მამაკაცების თანაბრად.

მუხლი 5. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 151 მუხლის საფუძველზე წითელი არმიის რიგებში მყოფი მოქალაქენი სარგებლობენ უფლებით აირჩიონ და არჩეულ იქნან ყველა მოქალაქის თანაბრად.

მუხლი 6. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 152 მუხლის საფუძველზე დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია: მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებს ამომრჩეველები მოახდენენ უშუალოდ პირდაპირი არჩევნების გზით.

მუხლი 7. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 153 მუხლის საფუძველზე კენჭისყრა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა არჩევნების დროს ფარულია.

მუხლი 8. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნები ხდება საარჩევნო ოლქების მიხედვით.

თვითეული საარჩევნო ოლქი მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოში გზავნის ერთ დეპუტატს.

მუხლი 9. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 18 მუხლის საფუძველზე ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარგებლობს საარჩევნო უფლებებით საქართველოს სსრ მოქალაქეთა თანაბრად.

მუხლი 10. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების ჩატარების წესს განსაზღვრავს შესაბამისად დებულება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების შესახებ.

მუხლი 11. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

თ ა ვ ი II

ამომრჩეველთა სიები

მუხლი 12. ამომრჩეველთა სიებს ადგენენ ქალაქ თბილისში სარაიონო საბჭო, დანარჩენ ქალაქებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო, დაბებში — სადაბო საბჭო; სოფლად — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო. ამომრჩეველთა სიების ფორმას აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 13. ამომრჩეველთა სიებში შეიტანება ყველა მოქალაქე, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება, სიების შედგენის მომენტისათვის ცხოვრობს (მუდმივად ან დროებით) მოცემული საბჭოს ტერიტორიაზე და არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდა.

მუხლი 14. ამომრჩეველთა სიებში არ შეიტანებიან სასამართლო განაჩენით საარჩევნო უფლებაჩამორთმეული პირნი მთელი იმ ვადის განმავლობაში, რა ვადითაც საარჩევნო უფლების ჩამორთმევა განაჩენშია განსაზღვრული, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შშმლილებად.

მუხლი 15. ამომრჩეველთაგან არავინ არ შეიძლება შეტანილ იქნას ერთზე მეტ საარჩევნო სიაში.

მუხლი 16. ამომრჩეველთა სიები, რომლებიც საერთოა მშრომელთა დეპუტატების ყველა საბჭოს არჩევნებისათვის, სდგება თვითეული საარჩევნო უბნის მიხედვით ალფაბეტური წესით ამომრჩეველის გვარის, სახელისა და მამის სახელის, ასაკის, საცხოვრებელი ადგილის, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების ნომრების აღნიშვნით. ამომრჩეველთა სიებს ხელს აწერენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 17. სამხედრო ნაწილებსა და ჯარის შენაერთებში მყოფ ამომრჩეველთა სიებს ადგენს სარდლობა მეთაურისა და სამხედრო კომისრის ხელმოწერით. ყველა დანარჩენი სამხედრო მოსამსახურე ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოებს.

მუხლი 18. ამომრჩეველთა სიები იმ საარჩევნო უბნებისა, რომლებიც იქმნება საავადმყოფოებთან, სამშობიარო სახლებთან, სანატორიუმებთან და სხვა სამკურნალო დაწესებულებებთან, სდგება როგორც ავადმყოფ მოქალაქეებზე, ისე იმ სამედიცინო პერსონალზედაც, რომელიც არჩევნების დღეს მორიგედ იმყოფება.

არჩევნებში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ ავადმყოფებს, რომლებიც იმყოფებიან საქუნთრუშო და სადიფტერიო განყოფილებებში.

მუხლი 19. არჩევნებამდე 35 დღით ადრე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ამომრჩეველთა სიების გამოაკრავს საყოველთაო გასაცნობად ან უზრუნველჰყოფს ამომრჩეველებისათვის ამ სიების გაცნობის შესაძლებლობას საბჭოს შენობაში.

მუხლი 20. ამომრჩეველთა სიების დედანი ინახება შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საბჭოში და სამხედრო ნაწილში ან ჯარის შენაერთში.

მუხლი 21. ამომრჩეველთა სიის გამოქვეყნებიდან არჩევნების დღემდე ამომრჩეველის მიერ თავისი ადგილსამყოფელის გამოცვლისას მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭო აძლევს მას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებული ფორმით „ხმის მიცემის უფლების მოწმობას“ და ამომრჩეველთა სიაში აღნიშნავს — „წავიდა“; ახალ საცხოვრებელ პუნქტში — მუდმივსა თუ დროებითში — ამომრჩეველი შეაქვთ ამომრჩეველთა სიაში პირადობის მოწმობის, აგრეთვე „ხმის მიცემის უფლების მოწმობის“ წარდგენისას.

მუხლი 22. განცხადება ამომრჩეველთა სიაში დაშვებული უსწორობის შესახებ (სიაში შეუტანლობა, სიიდან ამოშლა, გვარის, სახელის, მამის სახელის დამახინჯება, საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთა უმართებულოდ შეტანა სიაში) შეიტანება მშრომელთა დეპუტატების იმ საბჭოში, რომელმაც სია გამოაქვეყნა.

მუხლი 23. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია თვითეული განცხადება ამომრჩეველთა სიაში დაშვებული უსწორობის შესახებ განიხილოს სამი დღის ვადაში.

მუხლი 24. ამომრჩეველთა სიაში დაშვებული უსწორობის შესახებ განცხადების განხილვისას მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია ან შეიტანოს საჭირო შესწორებანი ამომრჩეველთა სიაში, ან განმცხადებელს მისცეს წერილობითი ცნობა მისი განცხადების უარყოფის მოტივების შესახებ; თუ განმცხადებელი არ ეთანხმება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებას, მას შეუძლია საჩივარი შეიტანოს სახალხო სასამართლოში.

მუხლი 25. სახალხო სასამართლო ვალდებულია სამი დღის განმავლობაში სასამართლოს ღია სხდომაზე განმცხადებლისა და საბჭოს წარმომადგენლის გამოძახებით განიხილოს საჩივარი სიაში დაშვებული უსწორობის შესახებ და თავისი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აცნობოს როგორც განმცხადებელს, ისე საბჭოს. სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

თ ა ვ ი III

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები და საარჩევნო კომისიები

მუხლი 26. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქებს ჰქმნის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭო.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77 მუხლის საფუძველზე იქმნება შემდეგი ნორმით — ერთი ოლქი 2.000 მცხოვრებზე.

მუხლი 27. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების სიებს აქვეყნებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და ქალაქის სარაიონო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არჩევნების დაწყებამდე არაუგვიანეს 55 დღისა.

მუხლი 28. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში იქმნება მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია.

მუხლი 29. საოლქო საარჩევნო კომისია სდგება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენელთაგან და მას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 8-10 წევრის შემადგენლობით არჩევნებამდე არაუგვიანეს 55 დღისა.

მუხლი 30. საოლქო საარჩევნო კომისია:

ა) ავტონომიური ოლქის მთელ ტერიტორიაზე თვალყურს ადევნებს იმას, რომ მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების მსვლელობაში ეს დებულება არჩევნების შესაბებ განუხრელად შესრულდეს;

ბ) განიხილავს საჩივრებს საარჩევნო კომისიების არასწორ მოქმედებათა შესახებ და საჩივრების გამო გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილებანი;

გ) ამზადებს საარჩევნო ბიულეტენებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნებისათვის დაწესებული ფორმით;

დ) აწარმოებს მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოში არჩეულ დეპუტატთა რეგისტრაციას;

ე) მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს სამანდატო კომისიას გადასცემს არჩევნების საქმისწარმოებას.

მუხლი 31. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების თვითეულ საარჩევნო ოლქში იქმნება საოლქო საარჩევნო კომისია.

მუხლი 32. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები სდგება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენელთაგან და მათ ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 4-6 წევრის შემადგენლობით არჩევნებამდე არაუგვიანეს 55 დღისა.

მუხლი 33. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია:

ა) აწესებს საარჩევნო უბნების რიგითს ნომრებს;

ბ) აწარმოებს მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის იმ კანდიდატთა რეგისტრაციას, რომელნიც წამოყენებულნი არიან საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და არჩევნების ამა დებულების მოთხოვნათა დაცვით;

გ) ამარაგებს საუბნო საარჩევნო კომისიებს დაწესებული ფორმის საარჩევნო ბიულეტენებით;

დ) არკვევს არჩევნების შედეგებს ოლქში;

ე) აძლევს არჩეულ დეპუტატს მოწმობას არჩევის შესახებ;

ვ) წარუდგენს საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების საქმისწარმოებას.

თ ა ვ ი IV

მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქები და საარჩევნო კომისიები

მუხლი 34. მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქებს ჰქმნიან მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია.

საარჩევნო ოლქები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 86 მუხლის საფუძველზე იქმნება შემდეგი ნორმების მიხედვით:

იმ რაიონში, რომლის მოსახლეობაც 25 ათას კაცს აღემატება, — ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 1.000 მცხოვრებზე, მაგრამ არა უმეტეს 60 ოლქისა;

იმ რაიონში, რომლის მოსახლეობაც 25 ათას კაცამდეა, იქმნება 25 საარჩევნო ოლქი.

მუხლი 35. მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების სიებს აქვეყნებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონთა ტერიტორიაზე აწესებს საარჩევნო უბნების რიგითს ნომრებს;

ე) ამზადებს საარჩევნო ბიულეტენებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოს არჩევნებისათვის დაწესებული ფორმით;

ვ) აწარმოებს მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოში არჩეულ დეპუტატთა რეგისტრაციას;

ზ) გადასცემს მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნების საქმისწარმოებას.

მუხლი 36. თვითეულ რაიონში იქმნება მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოს არჩევნების სარაიონო საარჩევნო კომისია.

მუხლი 37. სარაიონო საარჩევნო კომისიები სდგება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენელთაგან და მათ ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე—მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭო, თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 4-6 წევრის შემადგენლობით არჩევნებამდე არაუგვიანეს 55 დღისა.

მუხლი 38. სარაიონო საარჩევნო კომისია:

ა) თვალყურს ადევნებს რაიონის ტერიტორიაზე იმას, რომ სარაიონო საბჭოს არჩევნების მსვლელობაში ეს დებულება არჩევნების შესახებ განუხრელად შესრულდეს;

ბ) განიხილავს საჩივრებს მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიების არასწორ მოქმედებათა შესახებ;

გ) თვალყურს ადევნებს ამომრჩეველთა სიების დროულად შედგენას და საყოველთაოდ გაცნობას;

დ) თვალყურს ადევნებს საარჩევნო უბანთა დროულად მოწყობას მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონთა ტერიტორიაზე აწესებს საარჩევნო უბნების რიგითს ნომრებს;

ე) ამზადებს საარჩევნო ბიულეტენებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოს არჩევნებისათვის დაწესებული ფორმით;

ვ) აწარმოებს მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოში არჩეულ დეპუტატთა რეგისტრაციას;

ზ) გადასცემს მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნების საქმისწარმოებას.

მუხლი 39. მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოს არჩევნების თვითეულ საარჩევნო ოლქში იქმნება საოლქო საარჩევნო კომისია.

მუხლი 40. მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები სდგება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენელთაგან და მათ ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 2-4 წევრის შემადგენლობით არჩევნებამდე არაუგვიანეს 50 დღისა.

მუხლი 41. მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია:

ა) აწარმოებს მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოს დეპუტატობის იმ კანდიდატთა რეგისტრაციას, რომელნიც წამოყენებულნი არიან საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და არჩევნების ამა დებულების მოთხოვნათა დაცვით;

ბ) ამარაგებს საუბნო საარჩევნო კომისიებს დაწესებული ფორმის საარჩევნო ბიულეტენებით;

გ) არკვევს არჩევნების შედეგებს ოლქში;

დ) აძლევს არჩეულ დეპუტატს მოწმობას არჩევის შესახებ;

ე) წარუდგენს საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების საქმისწარმოებას.

თ ა ვ ი V

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და ქალაქის სარაიონო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქები და საარჩევნო კომისიები

მუხლი 42. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და ქალაქის სარაიონო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქებს ჰქმნის შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და ქალაქის სარაიონო საბჭო.

საარჩევნო ოლქები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 87 მუხლის საფუძველზე იქმნება შემდეგი ნორმებით:

იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა შეადგენს 12 ათასიდან 100 ათასამდე კაცს, — ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 350 მცხოვრებზე; იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა შეადგენს 12 ათას კაცამდე, იქმნება 35 საარჩევნო ოლქი.

ქალაქ თბილისში — ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 1.000 მცხოვრებზე.

იმ საქალაქო რაიონებში, სადაც მოსახლეობა 20 ათას კაცს აღემატება, იქმნება ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 500 მცხოვრებზე, მაგრამ არა უმეტეს 250 საარჩევნო ოლქისა; იმ საქალაქო რაიონებში, სადაც მოსახლეობა შეადგენს 20 ათასამდე კაცს, იქმნება 35 საარჩევნო ოლქი.

მუხლი 43. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და ქალაქის სარაიონო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების სიებს აქვეყნებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და ქალაქის სარაიონო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არჩევნების დაწყებამდე არაუგვიანეს 55 დღისა.

მუხლი 44. თვითეულ ქალაქში და ქალაქის რაიონში იქმნება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და ქალაქის სარაიონო საბჭოს არჩევნების საქალაქო და სარაიონო საარჩევნო კომისია.

მუხლი 45. საქალაქო და ქალაქის სარაიონო საარჩევნო კომისიები სდგება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენელთაგან და მათ ამტკიცებს: საქალაქო საარჩევნო კომისიას რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი; სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო დაქვემდებარების ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭო; რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭო; ქალაქის სარაიონო საარჩევნო კომისიას — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 6-10 წევრის შემადგენლობით არჩევნებამდე არაუგვიანეს 55 დღისა.

მუხლი 46. საქალაქო, ქალაქის სარაიონო საარჩევნო კომისია:

ა) ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე თვალყურს ადევნებს იმას, რომ საქალაქო, სარაიონო საბჭოს არჩევნების მსვლელობაში ეს დებულება არჩევნების შესახებ განუხრელად შესრულდეს;

ბ) განიხილავს საჩივრებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის სარაიონო საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიების არასწორ მოქმედებათა შესახებ;

გ) თვალყურს ადევნებს ამომრჩეველთა სიების დროულად შედგენას და საყოველთაოდ გაცნობას;

დ) თვალყურს ადევნებს საარჩევნო უბანთა დროულად მოწყობას მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ; რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში აწესებს საარჩევნო უბნების რიგითს ნომრებს;

ე) ამზადებს საარჩევნო ბიულეტენებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის სარაიონო საბჭოს არჩევნებისათვის დაწესებული ფორმით;

ვ) აწარმოებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის სარაიონო საბჭოში არჩეულ დეპუტატთა რეგისტრაციას;

ზ) გადასცემს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის სარაიონო საბჭოს სამანდატო კომისიას არჩევნების საქმისწარმოებას.

მუხლი 47. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის სარაიონო საბჭოს არჩევნების თვითეულ საარჩევნო ოლქში იქმნება საოლქო საარჩევნო კომისია.

მუხლი 48. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის სარაიონო საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები სდგება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენელთაგან და მათ ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის სარაიონო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 2-4 წევრის შემადგენლობით არჩევნებამდე არაუგვიანეს 50 დღისა.

მუხლი 49. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის სარაიონო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია:

ა) აწარმოებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის სარაიონო საბჭოს დეპუტატობის იმ კანდიდატთა რეგისტრაციას, რომელნიც წამოყენებულნი არიან საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და არჩევნების ამა დებულების მოთხოვნათა დაცვით;

ბ) ამარაგებს საუბნო საარჩევნო კომისიებს დაწესებული ფორმის საარჩევნო ბიულეტენებით;

გ) არკვევს არჩევნების შედეგებს ოლქში;

დ) აძლევს არჩეულ დეპუტატს მოწმობას არჩევის შესახებ;

ე) წარუდგენს საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების საქმისწარმოებას.

თ ა ვ ი VI

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქები და საარჩევნო კომისიები

მუხლი 50. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქებს ჰქმნიან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოები.

საარჩევნო ოლქები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 88 მუხლის საფუძველზე იქმნება შემდეგი ნორმებით:

იმ სასოფლო საბჭოებისა და დაბების ტერიტორიაზე, რომელთა მოსახლეობა 1.000 კაცს აღემატება, — ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 100 მცხოვრებზე, მაგრამ არა უმეტეს 25 ოლქისა; იმ სასოფლო საბჭოებსა და დაბებში, სადაც მოსახლეობა 1.000 კაცამდეა, იქმნება 9 საარჩევნო ოლქი.

მუხლი 51. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების სიებს აქვეყნებენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არჩევნებამდე არაუგვიანეს 55 დღისა.

მუხლი 52. თვითეულ სასოფლო საბჭოში და დაბაში იქმნება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს არჩევნების სასოფლო, სადაბო საარჩევნო კომისია.

მუხლი 53. სასოფლო და სადაბო კომისიები სდგება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენელთაგან და მათ ამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოები თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 2-4 წევრის შემადგენლობით არჩევნებამდე არაუგვიანეს 55 დღისა.

მუხლი 54. სასოფლო, სადაბო საარჩევნო კომისია:

ა) სასოფლო საბჭოს და დაბის ტერიტორიაზე თვალყურს ადევნებს იმას, რომ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს არჩევნების მსვლელობაში ეს დებულება არჩევნების შესახებ განუხრელად შესრულდეს;

ბ) განიხილავს საჩივრებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიების არასწორ მოქმედებათა შესახებ;

გ) ამზადებს საარჩევნო ბიულეტენებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს არჩევნებისათვის დაწესებული ფორმით და ამარაგებს საარჩევნო ბიულეტენებით საუბნო საარჩევნო კომისიებს;

დ) აწარმოებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოში არჩეულ დეპუტატთა რეგისტრაციას;

ე) გადასცემს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს სამანდატო კომისიას არჩევნების საქმისწარმოებას.

თ ა ვ ი VII

საარჩევნო უბნები და საუბნო საარჩევნო კომისიები

მუხლი 58. საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად და ხმებისა დასათვლელად ქალაქების, დაბებისა და სასოფლო საბჭოების ტერიტორია იყოფა საარჩევნო უბნებად, რომლებიც საერთოა მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისათვის.

მუხლი 59. საარჩევნო უბნებს ჰქმნიან ქალაქებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოები; სოფლად — მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოები.

მუხლი 60. საარჩევნო უბნების შექმნა ხდება არჩევნებამდე არაუგვიანეს 50 დღისა.

მუხლი 61. იმ სასოფლო საბჭოს ტერიტორია, რომელშიაც ითვლება არა უმეტეს 2.000 მცხოვრებისა, შეადგენს, როგორც წესი, ერთ საარჩევნო უბანს, თვითეულ სასოფლო დასახლებულ პუნქტში, რომელშიც ირიცხება 500-იდან ზემოთ, მაგრამ არა უმეტეს 2.000 მცხოვრებისა, ეწყობა ცალკე საარჩევნო უბანი.

იმ სასოფლო საბჭოს და სასოფლო დასახლებული პუნქტის ტერიტორია, რომლის მოსახლეობა 2.000 კაცს აღემატება, იყოფა საარჩევნო უბნებად შემდეგი ანგარიშით: ერთი საარჩევნო უბანი 1.500 — 2.500 მცხოვრებზე.

იმ სოფლებში ან სოფლების ჯგუფში, რომელთა მოსახლეობა 500 კაცზე ნაკლებია, მაგრამ არა უმეცრეს 300 მცხოვრებისა, იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი სოფლების მანძილი საარჩევნო უბნის ცენტრამდე 10 კილომეტრს აღემატება, შეიძლება შეიქმნას ცალკე საარჩევნო უბნები.

ცალკეულ რაიონებში, სადაც მცირე მოსახლე ადგილები სჭარბობენ, აგრეთვე მთაგორიან და მოშორებარეობის რაიონებში საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას 300 მცხოვრებზე ნაკლები მოსახლეობით, მაგრამ არა უმეცრეს 50 მცხოვრებისა.

მუხლი 62. ქალაქები და დაბები, რომლებშიაც 2.000 მცხოვრებზე მეტი ითვლება, იყოფიან საარჩევნო უბნებად შემდეგი ანგარიშით: ერთი საარჩევნო უბანი 1.500 — 2.500 მცხოვრებზე.

მუხლი 63. სამხედრო ნაწილები და ჯარის შენაერთები შეადგენენ ცალკე საარჩევნო უბნებს არა ნაკლებ 50 და არა უმეტეს ვიდრე 1.500 ამომრჩეველთა.

მუხლი 64. საავადმყოფოებთან, სამშობიარო სახლებთან, სანატორიუმებთან, ინვალიდთა სახლებთან, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 50-ზე ნაკლები არ არის, იქმნება ცალკე საარჩევნო უბნები.

საავადმყოფოებში, რომლებსაც რამდენიმე კორპუსი აქვთ, შეიძლება საარჩევნო უბნების შექმნა ცალკეულ კორპუსებთან, თუ თვითეულ მათგანში არის არანაკლებ 50 ამომრჩეველისა.

საავადმყოფოებსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში, სადაც ცალკე საარჩევნო უბნები არ ეწყობა, შეიძლება საარჩევნო ბიულეტენების მიღება თვით საავადმყოფოებსა და სამკურნალო დაწესებულებებში საარჩევნო კომისიების გამოყოფილ წევრთა მიერ. ამ შემთხვევებში საავადმყოფოები მომარაგდებიან ცალკე საარჩევნო ყუთებით.

მუხლი 65. იმ გემებს, რომლებზედაც ამომრჩეველთა რაოდენობა 25-ზე ნაკლები არ არის და რომლებიც არჩევნების დღეს გზაში იმყოფებიან, შეუძლიათ შეადგინონ ცალკე საარჩევნო უბნები, რომლებიც შევლენ საარჩევნო ოლქებში გემის მიწერის ადგილის მიხედვით.

იმ შემთხვევებში, როდესაც ამომრჩეველთა რაოდენობა გემზე უდრის მოსახლეობის ნორმას მშრომელთა დეპუტატების საქალაქო ან ქალაქის სარაიონო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქისათვის, იქმნება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო ან სარაიონო საბჭოს არჩევნების ცალკე საარჩევნო ოლქი გემის მიწერის ადგილის მიხედვით.

მუხლი 66. შორეული მიმოსვლის სამგზავრო მატარებლებში, რომლებიც არჩევნების დღეს გზაში იმყოფებიან, იქმნება საარჩევნო უბნები ბიულეტენების მისაღებად იმ მგზავრ-ამომრჩევლებისაგან, რომლებსაც აქვთ „ხმის მიცემის უფლების მოწმობა“.

მუხლი 67. თვითეულ საარჩევნო უბანში იქმნება საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც საერთოა მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისათვის.

მუხლი 68. საუბნო საარჩევნო კომისიები სდგება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენელთაგან და მათ ამტკიცებენ ქალაქებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები, ხოლო რაიონებად დაყოფილ ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოები; სასოფლო ადგილებში — მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოები თავმჯ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ

დასასრული

ზაციათა და მშრომელების საზოგადოებათა (ინტერალური ორგანოები, ისე მათი რესპუბლიკური, საოლქო და სარაიონო ორგანოები, ისევე როგორც საერთო კრებები მუშებისა და მოსამსახურეებისა საწარმოებსა და დაწესებულებებში, წითელარმიელებისა — სამხედრო ნაწილებში, აგრეთვე საერთო კრებები გლეხებისა — კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და მოსამსახურეებისა — საბჭოთა შეურნეობებში.

მუხლი 72. დეპუტატობის კანდიდატები არ შეიძლება იყვნენ იმ ოლქის საოლქო, აგრეთვე საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებად, სადაც ისინი წამოყენებული არიან დეპუტატობის კანდიდატებად.

მუხლი 73. არაუგვიანეს 35 დღისა არჩევნებამდე, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოებანი, რომელნიც აყენებენ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა) და სარაიონო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს, ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გაატარონ დეპუტატობის კანდიდატები სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 74. არაუგვიანეს 20 დღისა არჩევნებამდე ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოებანი, რომელნიც აყენებენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების, ქალაქის სარაიონო საბჭოების, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს, ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გაატარონ დეპუტატობის კანდიდატები სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 75. საოლქო საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გაატარონ დეპუტატობის ყველა კანდიდატი, წამოყენებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების მიერ საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და არჩევნების ამა დებულების მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 76. საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოება, რომელნიც აყენებენ დეპუტატობის კანდიდატს, ვალდებულნი არიან წარადგინონ სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიაში შემდეგი დოკუმენტები:

ა) დეპუტატობის კანდიდატის წამომყენებელი კრების ან სხდომის ოქმი, პრეზიდიუმის წევრების მიერ ხელმოწერილი, მათი ასაკის, საცხოვრებელი ადგილის, კანდიდატის წამომყენებელი ორგანიზაციის სახელწოდების, დეპუტატობის კანდიდატის წამომყენებელი კრების ან სხდომის ადგილის, დროისა და მონაწილეთა რაოდენობის აღნიშვნით, ამასთან ოქმში აღნიშნული უნდა იქნას დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა, მოსაქმეობა;

ბ) დეპუტატობის კანდიდატის განცხადება, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში მისი წამომყენებელი ორგანიზაციის სახელით;

მუხლი 77. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია ერთსა და იმავე საბჭოში კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ ოლქში.

მუხლი 78. მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), სარაიონო, საქალაქო, ქალაქის სარაიონო, სასოფლო და სადაბო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის უარი იმაზე, რომ რეგისტრაციაში გაატაროს დეპუტატობის კანდიდატი, შეიძლება განსაჩივრებულ იქნას ორი დღის ვადაში შესაბამისად საოლქო, სარაიონო, საქალაქო, ქალაქის სარაიონო, სასოფლო და სადაბო საარჩევნო კომისიაში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხლი 79. მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა) და სარაიონო საბჭოს დეპუტატობის თვითეული რეგისტრირებული კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, მოსაქმეობა, პარტიულობა და იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელწოდება, რომელმაც კანდიდატი წამოაყენა, ქვეყნდება სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებამდე არაუგვიანეს 30 დღისა.

ცნობებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქთა სარაიონო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატობის იმ კანდიდატების შესახებ, რომლებიც რეგისტრაციაში გატარებული არიან საოლქო კომისიების მიერ, აქვეყნებს სათანადო საქალაქო, ქალაქთა სარაიონო, სასოფლო და სადაბო საარჩევნო კომისია არჩევნებამდე არაუგვიანეს 15 დღისა.

მუხლი 80. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყველა რეგისტრირებული კანდიდატი აუცილებლად უნდა იქნას შეტანილი საარჩევნო ბიულეტენებში.

მუხლი 81. მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), სარაიონო, და ქალაქის სარაიონო საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები, აგრეთვე სასოფლო და სადაბო საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან არჩევნებამდე არაუგვიანეს 10 დღისა დაუგზავნონ ყველა საუბნო კომისიას საარჩევნო ბიულეტენები.

მუხლი 82. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება სათანადო საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ენაზე.

მუხლი 83. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებული ფორმით და იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს ყველა ამომრჩევლის მომარაგებას საარჩევნო ბიულეტენებით.

მუხლი 84. თვითეული ორგანიზაციისათვის, რომელმაც წამოაყენა კანდიდატი, რეგისტრირებული სათანადო საარჩევნო კომისიაში, ისევე, როგორც საქართველოს სსრ თვითეული მოქალაქისათვის, უზრუნველყოფილია უფლება დაუბრკოლებლივ გასწიოს აგიტაცია ამ კანდიდატის სასარგებლოდ კრებებზე, პრესაში და სხვა საშუალებებით, თანახმად საქართველოს სსრ კონსტიტუციის 138 მუხლისა.

თ ა ვ ი IX
არჩევნების დღე

მუხლი 85. მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), სარაიონო, საქალაქო, ქალაქის სარაიონო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები ხდება ერთ დღეს—საქართველოს სს რესპუბლიკისათვის საერთო დღეს.

მუხლი 86. არჩევნების დღეს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არჩევნების ვადამდე არაუგვიანეს ორი თვისა. არჩევნები ხდება არასამუშაო დღეს.

მუხლი 87. არჩევნების წინ უკანასკნელი 15 დღის განმავლობაში საუბნო საარჩევნო კომისია ყოველდღე ფართოდ აცნობებს ამომრჩევლებს გამოქვეყნების გზით ან სხვა საშუალებით არჩევნების დღესა და არჩევნების ადგილს.

თ ა ვ ი X
კენჭისყრის წესი

მუხლი 88. ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემა ხდება არჩევნების დღეს დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე ადგილობრივი დროით.

მუხლი 89. არჩევნების დღეს დილის 6 საათზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მისი წევრების თანადასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთებს და იმას, არსებობს თუ არა ამომრჩეველთა სია, დაწესებული ფორმით შედგენილი, რის შემდეგ ხურავს და ლუქავს ყუთებს კომისიის ბეჭდით და იწვევს ამომრჩევლებს დაიწყონ ხმის მიცემა.

ბეჭდებისა და საარჩევნო ყუთების ნიმუშებს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 90. თვითეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად, რისთვისაც ცხადდება ხმის მიცემისათვის გამოყოფილ შენობაში, ამასთანავე ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემა ხდება საარჩევნო ბიულეტენების საარჩევნო ყუთში ჩაშვებით.

მუხლი 91. საარჩევნო შენობაში ბიულეტენების შესავსებად გამოიყოფა ცალკე ოთახი, სადაც ხმის მიცემის დროს აკრძალულია ვისიმე ყოფნა, მათ რიცხვში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისაც, გარდა ხმის მიმცემთა; თუ ბიულეტენების შესავსებად ოთახში ერთდროულად შეშვებულ იქნება რამდენიმე ამომრჩეველი, იქ უნდა დაიდგას იმდენი ტახრი ან შირმა, რამდენი ამომრჩეველიც შეშვებულ იქნება ერთდროულად.

მუხლი 92. საარჩევნო შენობაში მისული ამომრჩეველი საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს ან წევრს წარუდგენს ან პასპორტს, ან საკოლმეურნეო წიგნაკს, ან პროფკავშირის ბილეთს, ან პირადობის სხვა მოწმობას და ამომრჩეველთა სიით შემოწმებისა და ამომრჩეველთა სიაში აღნიშვნის შემდეგ ღებულობს დაწესებული ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენებს.

მუხლი 93. იმ პირებზე, რომლებიც გამოცხადდნენ საარჩევნო შენობაში „ხმის მიცემის უფლების მოწმობით", თანახმად არჩევნების ამა დებულების 21 მუხლისა, საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს განსაკუთრებულ სიას, რაც დაერთვის ამომრჩეველთა სიას.

მუხლი 94. საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად გამოყოფილ ოთახში ამომრჩეველი თვითეულ საარჩევნო ბიულეტენში სტოვებს იმ კანდიდატის გვარს, რომელსაც იგი ხმას აძლევს, დანარჩენებს შლის; ამის შემდეგ ამომრჩეველი გადის იმ ოთახში, სადაც საუბნო საარჩევნო კომისია იმყოფება, და საარჩევნო ბიულეტენებს ჩაუშვებს საარჩევნო ყუთში.

მუხლი 95. ამომრჩევლებს, რომელთაც წერა-კითხვის უცოდინარობის ან რაიმე ფიზიკური ნაკლის გამო შესაძლებლობა არა აქვთ დამოუკიდებლად შეავსონ საარჩევნო ბიულეტენები, უფლება აქვთ მიიწვიონ იმ ოთახში, სადაც საარჩევნო ბიულეტენები ივსება, საარჩევნო ბიულეტენის შესავსებად რომელიმე სხვა ამომრჩეველი.

მუხლი 96. საარჩევნო აგიტაცია საარჩევნო შენობაში ხმის მიცემის დროს არ შეიძლება.

მუხლი 97. პასუხისმგებლობა წესრიგისათვის საარჩევნო შენობაში ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, და მისი განკარგულებანი ყველა დამსწრეთათვის სავალდებულოა.

მუხლი 98. არჩევნების დღეს ღამის 12 საათზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხმის მიცემას დამთავრებულად აცხადებს, და კომისია იწყებს საარჩევნო ყუთების გახსნას.

თ ა ვ ი XI
არჩევნების შედეგების გამორკვევა

მუხლი 99. შენობაში, სადაც საუბნო საარჩევნო კომისია ხმებს ითვლის, ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებს, რომელთაც საამისოდ სპეციალური რწმუნება აქვთ, აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს.

მუხლი 100. საუბნო საარჩევნო კომისია ყუთების გახსნის შემდეგ სთვლის ბიულეტენებს ოქმების მიხედვით, ადგრებს მიცემული ბიულეტენების რიცხვს ხმის მიმცემ პირთა რიცხვს (ბიულეტენების მიღებისას ამომრჩეველთა სიაში აღნიშვნების საფუძველზე), და შედარების შედეგები შეაქვს ხმის მიცემის ოქმებში თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით.

მუხლი 101. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრის თანადასწრებით აქვეყნებს ხმის მიცემის შედეგებს თვითეული ბიულეტენის მიხედვით.

მუხლი 102. გაუქმებულად ითვლება ის ბიულეტენები, რომლებშიაც ხმის მიცემისას დატოვებულია ერთ კანდიდატზე მეტი, აგრეთვე დაუწესებელი ნიმუშისა და ფერის ბიულეტენები.

მუხლი 103. საარჩევნო ბიულეტენის სინამდვილეში ეჭვის შეტანისას საკითხს სწყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრით, რაც ოქმში აღინიშნება.

მუხლი 104. საუბნო საარჩევნო კომისია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებული ფორმით ადგენს თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით ხმის მიცემის ოქმს ორ ცალად, რომელსაც ხელს აწერს საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი, მათ შორის აუცილებლად თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 105. საუბნო საარჩევნო კომისიის ხმის მიცემის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) ხმის მიცემის დაწყებისა და დამთავრების დრო;

ბ) ამომრჩეველთა რიცხვი საარჩევნო უბანში და ოლქებში;

გ) ამომრჩეველთა რიცხვი, რომლებმაც ხმა მისცეს ამომრჩეველთა სიის მიხედვით;

დ) ამომრჩეველთა რიცხვი, რომლებმაც ხმა მისცეს „ხმის მიცემის უფლების მოწმობით";

ე) საარჩევნო უბანში და ოლქებში მიცემულ ბიულეტენთა რიცხვი;

ვ) საუბნო საარჩევნო კომისიაში შეტანილ განცხადებათა და საჩივართა მოკლე შინაარსი და საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი;

ზ) ხმების დათვლის შედეგები თვითეული კანდიდატის მიხედვით.

მუხლი 106. ხმების დათვლის დამთავრებისა და ოქმების შედგენის შემდეგ საუბნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის ყველა წევრის თანადასწრებით აცხადებს თვითეული ოლქის მიხედვით კენჭისყრის შედეგებს.

მუხლი 107. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი კენჭისყრის ოქმის ერთი ცალი სპეციალური კაცის ხელით 24 საათის განმავლობაში ეგზავნება სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 108. ყველა საარჩევნო ბიულეტენი (ნამდვილნი ცალკე და გაუქმებულად ცხობილნი ცალკე) უნდა დაილუქოს საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და ხმის მიცემის ოქმების მეორე ცალებთან და ბეჭედთან ერთად საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შესანახად უნდა ჩააბაროს: ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოებს, ხოლო იმ ქალაქებში, რომელთაც რაიონული დაყოფა აქვთ, — მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოებს; სოფლად — მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოებს.

მუხლი 109. მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს ევალებათ — შეინახონ საარჩევნო ბიულეტენები, სანამ თვითეული ოლქის დეპუტატების მანდატებს მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭო დამტკიცებდეს.

მუხლი 110. მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), სარაიონო, საქალაქო, ქალაქის სარაიონო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები არკვევენ არჩევნების შედეგებს ოლქში საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ წარდგენილი ოქმების საფუძველზე.

მუხლი 111. იმ შენობაში, სადაც საოლქო საარჩევნო კომისია ხმებს ითვლის, ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებს, რომელთაც საამისოდ სპეციალური რწმუნება აქვთ, აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს.

მუხლი 112. საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებული ფორმით ხმის მიცემის ოქმს ორ ცალად, რომლებსაც ხელს აწერს საოლქო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი, მათ შორის აუცილებლად თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 113. საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) ამომრჩეველთა საერთო რიცხვი ოლქში;

ბ) საერთო რიცხვი ამომრჩეველებისა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კენჭისყრაში;

გ) დეპუტატობის თვითეული კანდიდატისათვის მიცემული ხმების რიცხვი.

დ) საოლქო საარჩევნო კომისიაში შეტანილ განცხადებათა და საჩივართა მოკლე შინაარსი და საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებანი.

მუხლი 114. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიების სხდომები კანონიერად ითვლება, თუ მათში მოწაწილეობს კომისიის საერთო შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მუხლი 115. ყველა საკითხი საარჩევნო კომისიებში ხმის უბრალო უმრავლესობით სწყდება; ხმების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა გადასწონის.

მუხლი 116. ხმების დათვლის დამთავრების შემდეგ არაუგვიანეს 24 საათისა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია სპეციალური კაცის ხელით გადაუგზავნოს დალუქული ოქმი საოლქო (სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქისა), სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 117. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, რომელმაც მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, ე. ი. ყველა იმ ხმების ნახევარზე მეტი, რაც მიცემულია ოლქში და ცნობილია ნამდვილად, არჩეულად ითვლება.

მუხლი 118. ოქმზე ხელმოწერის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს არჩევნების შედეგებს და აძლევს დეპუტატად არჩეულ კანდიდატს მოწმობას არჩევის შესახებ. არჩევის შესახებ მოწმობის ფორმას აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 119. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ოლქში ვერ მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, სათანადო საოლქო საარჩევნო კომისია ცალკე აღნიშნავს ამას ოქმში და აცნობებს საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), სარაიონო, საქალაქო, ქალაქის სარაიონო, სასოფლო, და სადაბო საარჩევნო კომისიას და ამავე დროს აცხადებს იმ ორი კანდიდატისათვის ხელახალ კენჭისყრას, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მეტი ხმა, აგრეთვე ნიშნავს ხელახალი კენჭისყრის დღეს არაუგვიანეს ორი კვირის ვადისა არჩევნების პირველი ტურის გასვლის შემდეგ.

მუხლი 120. თუ ოლქში მიცემული ხმების რაოდენობა შეადგენს იმ ამომრჩეველთა ნახევარზე ნაკლებს, რომლებსაც აქვთ ამ ოლქში ხმის მიცემის უფლება, საოლქო საარჩევნო კომისია ამას ცალკე აღნიშნავს ოქმში და დაუყოვნებლივ აცნობებს საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), სარაიონო, საქალაქო, ქალაქის სარაიონო, სასოფლო და სადაბო საარჩევნო კომისიას, ამასთან ამ შემთხვევაში საოლქო, სარაიონო, საქალაქო, ქალაქის სარაიონო, სასოფლო და სადაბო საარჩევნო კომისია ნიშნავს ახალ არჩევნებს არაუგვიანეს ორი კვირის ვადისა პირველი არჩევნების შემდეგ.

მუხლი 121. დეპუტატობის კანდიდატებისათვის ხელახალი კენჭისყრა, ისევე როგორც ახალი არჩევნები ნაცვლად გაუქმებული არჩევნებისა, ხდება ამომრჩეველთა სიებით, რომლებიც შედგენილია პირველი არჩევნებისათვის, და სრულ შესაბამისად ამა დებულებისა არჩევნების შესახებ.

თ ა ვ ი XII
პასუხისმგებლობა მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების დარღვევისათვის

მუხლი 122. ყველა ის, ვინც ძალადობით, მოტყუებით, მუქარით ან მოსყიდვით ხელს შეუშლის საქართველოს სსრ-ის მოქალაქეს განახორციელოს თავისი უფლება —აირჩიოს და არჩეულ იქნას საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში, — დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

მუხლი 123. საბჭოს თანამდებობის პირი ან საარჩევნო კომისიის წევრი, რომელიც გააყალბებს საარჩევნო დოკუმენტებს ან განზრახ არასწორად დასთვლის ხმებს,—დაისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
შ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი
(რუსთაველის პროსპ., № 21, ტელ. 3-64-11)
განცხადებათა მიღებას აწარმოებს 10 აგვისტომდე
მიღების პირობები გამოქვეყნებულია ა. წ., 8 ივლისს გაზ. „კომუნისტში" № 154.
3—3 709 დირექცია.

ეკიმ ნ. ბ. კანჯოროვიჩის
თმის მკურნალობისა და კოსმეტიკის კაბინეტი
ელბაკიძის დაღმართი, 21
მიღება დილის 12-დან 4 ს-მდე.
მუშაკების, ფერისმჭამელას, ბორფლის, ლაქების, კანის სიხმელის, თმის დაცვივნის, თვალის მკურნალობა, ხალების, მეჭეჭების, ნაჭრილობებვენის და პირისასისა და თავის კანის სხვა ნაკლთა გაკრობა. 3—3 1768

დამწუხრებული დედა ქეთო, და ტასიკო, ცოლი მთიკო და შვილი ციალა იუწყებიან საყვარელ
ბოგი კასრაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა გორში 30/VII. 250

მეგობრები ბ. კვინიკაძე, ნ. კვინიკაძე, მ. ფურცელაძე, ე. ფურცელაძე, ს. აფრიკიანი, ლ. აფრიკიანი იუწყებიან ძვირფას მეგობრის
გულნარა ბაძრაძის
გარდაცვალებას. 2635

მე-18 საშ. სკოლის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დირექტორს მოადგილეს თამარ ხელაშვილს მისი დედის და დედიდაშვილის
მატრონა და არჩილ ჯალიაშვილების
გარდაცვალების გამო. 2614

მეუღლე ლეონილა, შვილები ილია, მარო, ლუსია, ცუცა, სიმე კოლია, შვილიშვილი ბიჭუნა, ცოლისძმები იუწყებიან
კონდრატე ბაგრატის-ძე კოკაიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 30/VII, 8 ს. ბორბალის შესახ., 22. გამოსვენება 31/VII, 5 ს. 2639

ფეხბურთელების „ლოკომოტივი" თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ორტელის წევრის
ბიგა ასანიშვილის
გარდაცვალების გამო. 2638

სახ. ესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
ბოლშევიკების პროსპ. № 123. ტელ. 3-18-50

საზაფხულო თეატრი
30, 31 ივლისს
მუდმივი ადგილ. ტალ. 63, 64
მოსკოვის საკონცერტო გაერთიანების მსახიობთა გასტროლები
დაწვრილებით აფიშებში.
დასაწყისი საღ. 9 ს. 30 წ.

ღია ესტრადა
30, 31 ივლისს
ლენინგრადის რუსული ცეკვისა და სიმღერების ანსამბლის უკანასკნელი საღამოები.
ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით. ბაღში სასეირნო ორკესტრი **ბანაგოვის** ხელმძღვანელობით.

„სამტრესტის" ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მოსკოვის განყოფილების დირექტორის მოადგილის ამხ. დმიტრი ხვედაგურიძის ქალიშვილის
ნინოს
გარდაცვალების გამო. 2641

ონის პარტრაიკომის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე რაიკომის მდივანს ამხ. სიმონ ბერუაშვილს მისი მამის
გიორგი ბერუაშვილის
გარდაცვალების გამო. 275

ბებია პარასკევა, მშობლები საშა და ჭიჭიკო, დეები ლამარა, მედეა, ძმა ანზორ მილორავები, მამიდები ნადია და ლუბა ქმარშვილით, ბიძა ვასო ცოლშვილით იუწყებიან ძვირფასი
ნაზიკო ალექსანდრეს-ასულ მილორავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ფოთში. 30/VII, გამოსვენება ჯუღაშვილის, 34.

თბილისის სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანატი, პედპერსონალი და სტუდენტობა იუწყებიან ამავე ფაკულტეტის მე-4 კურსის ფრიადოსან სტუდენტ
ქიშვარდ ბრიგოლის-ძე მიქიაშვილის
გარდაცვალებას. 2636

ნუცა, თამარ ქმარშვილით, ალექსანდრე, ქეთო, მერი, დათიკო, ვანჩიკა ცოლშვილით და ოლია გაბუნიები მწუხარებით იუწყებიან ოლია და ნიკანდრო გაბუნიების მამის
ზიგა ასანიშვილის
გარდაცვალებას. 2634

ქეთო, ლევან ყანჩაველი მეუღლით თამარით და რძლით კატოთი იუწყებიან ძვირფასი დისწულის
ტიტო (დიმიტრი) საქვარელიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება ბესიკის, 35. 31/VII, 5 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე. 2632

მშობლები ეფროსინე, ზაქარია, დეები ნინო, ტატიანა, ძმა ივანე, რძლები ანიჩკა, თინა, ძმისწულები, დისწულნი, სიძე ნ. გოდერძიშვილი იუწყებიან, რომ 1/VIII ს. წითელნაგში (ბაღდათი) დაინიშნულია დაფიფლვა
პიროსი მეფარიშვილის
პანაშვიდი. 2625

ლადო, სოფიო, იოსებ, გია ნატრაძეები იუწყებიან
ბიბა ასანიშვილის
გარდაცვალებას. 2640

დედა მარო, და ნუნუ საყვარელიძეები იუწყებიან საყვარელ
ტ ი ტ ო ს
გარდაცვალებას. პანაშვიდი 30/VII, 8 ს. ბესიკის, 35. გამოსვენება 31/VII, 5 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე. 2632

სასოფ.-სამ. ბანკის კანტორის თანამშრომლები: ჯანაშია, ჭიჭინაძე, ციანაძე, პეტიპანი, თურქესტანოვი, სარქისოვი, დგებუაძე, მოშიაშვილი და ლ. ლაღიძე იუწყებიან გ. გარდიშანის მეუღლის
თამარ გიორგის-ასულ ბარდიშიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/VII, 1 ს. გამოსვენება კაშენის, 3.

მშობლები ნინო და კოლა ბელოვანები, მეუღლე ოლია სარჯველაძე პატარა თომაზით იუწყებიან
ვახტანგ ნიკოლოზის-ძე ბელოვანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 31/VII, 6 ს. გამოსვენება კოჩუბეის, 11. 2633

მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხი

(პირველი წლის გამოშვება)

წაუგებელი გამოშვება

მოგებათა მეორე ჯირაჭის ცხრილი

მესამე ხუთწლედის სესხის (პირველი წლის გამოშვება) მოგებათა მე-2 ტირაჟში მოგება ხვდა სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს სესხის წაუგებელი გამოშვების 61 თანრიგიდან თვითეულში

სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების რაოდენობა მანეთებში	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების რაოდენობა მანეთებში	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების რაოდენობა მანეთებში
40171	46 *)	500	52322	1—50	150	48804	1—50	150
40270	06 *)	500	52357	34 *)	500	48903	03 *)	500
40459	44 *)	500	52424	1—50	150	49182	1—50	150
40643	40 *)	500	52546	1—50	150	49597	1—50	150
41053	1 - 50	200	52658	32 *)	500	49630	1—50	150
41202	10 *)	500	52663	1—50	150	49665	1—50	150
41562	1—50	150	52772	1—50	200	49797	1—50	150
41669	31 *)	500	53092	42 *)	500	49850	1—50	150
41680	1 - 50	150	53100	1—50	150	49852	28 *)	500
41870	39 *)	500	53209	25 *)	3000	49925	1—50	150
41936	1—50	150	53225	1—50	150	50094	19 *)	500
41999	1—50	150	53298	1—50	150	50216	1—50	200
42065	1 50	150	53329	45 *)	500	50314	1—50	200
42067	1—50	150	53403	1—50	150	50413	1—50	150
42113	45 *)	500	53516	1—50	150	55059	1—50	150
42221	1 50	200	53522	04 *)	500	55319	1—50	200
42240	1 - 50	150	53615	44 *)	500	52 48	1—50	150
42272	14 *)	500	53670	1—50	150	55596	1—50	150
42347	18 *)	500	53691	1—50	200	55800	1—50	150
42437	1 50	200	53733	12 *)	500	55920	15 *)	500
42502	10 *)	500	53767	1—50	150	56000	50 *)	500
42513	1—50	150	53964	1—50	150	56012	45 *)	1000
42519	1 - 50	150	54037	1—50	150	56020	1—50	150
42595	42 *)	500	54113	1—50	150	56035	27 *)	500
42623	28 *)	500	54447	1—50	200	56089	1—50	150
42793	1 - 50	150	54570	1—50	150	56250	1—50	150
42810	1 50	200	54728	06 *)	500	56251	1—50	150
42939	1—50	150	54843	1—50	150	56701	1—50	150
43038	1—50	150	54935	1—50	150	56725	04 *)	500
43045	1—50	150	44708	1—50	150	56970	1—50	150
43148	1—50	150	44813	1—50	150	56997	1—50	150
43230	1—50	150	44859	15 *)	500	57029	1—50	150
43304	29 *)	500	44896	1—50	200	57095	08 *)	500
43324	1—50	150	45151	1—50	500	57121	1—50	200
43338	23 *)	1000	45168	1—50	150	57136	1—50	150
43499	1—50	150	45296	1—50	150	57221	1—50	150
43583	1—50	150	45447	1—50	150	57334	1—50	200
43688	1—50	150	45736	1—50	150	57547	14 *)	500
43961	1—50	150	45949	19 *)	500	57615	1—50	150
43988	1—50	150	45988	1—50	150	57629	1—50	150
44005	1—50	150	46026	1—50	150	57643	1—50	150
44101	45 *)	500	46049	1—50	150	57753	1—50	150
44138	10 *)	500	46055	1—50	150	57802	1—50	150
44233	34 *)	500	46270	20 *)	500	57818	1—50	200
44380	1—50	150	46357	1—50	150	58060	24 *)	500
44606	01 *)	500	46464	1—50	150	58261	1—50	150
44615	1—50	150	46505	1—50	150	58281	1—50	150
44707	08 *)	500	46630	1—50